საინფორმაციო ბიულეტენი #4

წარმოგიდნეთ COSERE პროექტის #4 საინფორმაციო ბიულეტენს!

COSERE პროექტი პროგრესს განაგრძობს! ჩვენი პარტნიორები მოხარულნი არიან, რომ განათლებაში კოლეგიალური მხარდაჭერის თემის ღრმა გააზრება შეძლეს. პროექტი დასკვნით ეტაპს უახლოვდება, ჩვენი სახელმძღვანელო „სკოლებში კოლეგიალური მხარდაჭერის შესახებ“ მალე გამოქვეყნდება, ხოლო ჩვენ ლატვიაში დასკვნითი კონფერენციისთვის ვემზადებით. ამ საინფორმაციო ბიულეტენში დეტალურად ვისაუბრებთ ბოლო სასწავლო ვიზიტზე თბილისში, საქართველოში, ასევე, საინტერესო სამომავლო ღონისძიებებზე!

სასწავლო ვიზიტი #4: თბილისი, საქართველო;

სურათზე: ჩვენი მონაწილეები საქართველოს მთებში

ჩვენმა შესანიშნავმა პარტნიორმა ორგანიზაციამ, TPDC, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში, უმასპინძლა პროექტის მეოთხე სასწავლო ვიზიტს. მონაწილეები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, რათა გაცნობოდნენ საქართველოს განათლების სისტემასა და გამოცდილებას.

დისკუსიები შეეხო შემდეგ თემებს:

- **ბრიტანეთის საბჭოს საქმიანობა საქართველოში;**
- **საუკეთესო პრაქტიკა საქართველოს სკოლებში;**
- **პროფესიული განვითარება და შესრულების შეფასება;**

მოგზაურობის ფარგლებში განსაკუთრებული შესაძლებლობა იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრა, რამაც საშუალება მოგვცა, შეგვედარებინა COSERE-ის კვლევის შედეგი არსებულ აკადემიურ ნაშრომებთან. სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ COSERE-ს კვლევის შედეგები შეესაბამებოდა ექსპერტების ჰიპოთეზებს.

> **კოლეგიალობა: მეგობრული ურთიერთობა ადამიანებს შორის, რომლებიც ერთად მუშაობენ ან ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ.**
>
> **კემბრიჯის ლექსიკონი, 2023**

Co-funded by the European Union

The European Commission's support for the production of this website does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.
Project Number : 2022-1-LV01-KA220-SCH-000086643

პროექტის ვებგვერდი

დაასკანერეთ QR კოდი მის გასაცნობად! **cosereproject.eu**

გაეცანით უკვე COSERE პროექტის ვებგვერდს? ჩვენი ტექნიკოსები უზრუნველყოფენ პროექტის განვითარების შესახებ ინფორმაციის ატვირთვას. ჩვენ გავაგრძელებთ კოლეგიალური მხარდაჭერის სამყაროს შესწავლას. გსურთ თვალი ადევნოთ COSERE-ს სიახლეებს? დაამატეთ COSERE-ს ვებგვერდი ფავორიტებში.



ველით საინტერესო ბოლო რამდენიმე თვეს COSERE პროექტის გუნდისთვის.

COSERE-ის სახელმძღვანელო „კოლეგიალური მხარდაჭერა სკოლებში“ მალე დასრულდება და გაგიზიარებთ.

ჩვენ ვგეგმავთ პროფესიული განვითარების კურსის პილოტირებას განათლების სფეროს წარმომადგენლებთან.

პროექტი დასრულდება დასკვნითი კონფერენციით, რომელიც გაიმართება ლატვიაში 2025 წლის მარტში,

რა იქნება შემდეგი COSERE კონსორციუმისთვის?

Photo by Jānis Beitiņš via Unsplash

სურათზე (მარცხნივ): COSERE სახელმძღვანელოს წინა ყდა კოლეგიალობის მხარდაჭერის შესახებ სკოლებში;
სურათზე (მარჯვნივ): რიგა, ლატვია;

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საინტერესო აქტივობა უკვე განხორციელდა, ჩვენ ვაგრძელებთ პროექტზე მუშაობას! თვალი ადევნეთ სახელმძღვანელოს გამოცემას, ჩვენს ვებგვერდს, სოციალურ მედიას და აუცილებლად გააცანით COSERE ნებისმიერ მასწავლებელს, რომელსაც იცნობთ!

Co-funded by the European Union
The European Commission's support for the production of this website does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.
Project Number : 2022-1-LV01-KA220-SCH-000086643